ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N28

ხულო 24 თებერვალი 2020 წელი

ერთის მხრივ ხულოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში – ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მერის მოვალეობის ვახტანგ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ედემი პალასი“ (შემდგომში - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ აბულაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე ჩატარების შედეგად (**NAT200002771)** ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 **კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სტუდენტ-ახალგაზრდობასთან შეხვედრისა და დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა (CPV 79900000).**

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკური პირობები დანართი #1-ის და ფასების ცხრილი დანართ #2-ის სახით, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **6283.50 (ექვსიათასორასოთხმოცდასამი ლარი და 50 თეთრი) ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს და კოორდინაციას განახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის **მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.**

3.2. კორდინატორის ფუნქციებია:

3.2.1 მისაწოდებელი და/ან მიწოდებული საქონლის/მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამოსობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

3.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4. სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ორი დღის განმავლობაში **2020 წლის 01 აპრილამდე ჩათვით პერიოდში;**

5.2 შემსყიდველი მომსახურეობის საჭიროებას მიმწოდებელს შეატყობინებს 2 (ორი) დღით ადრე ელ.

ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით.
5.3. შესყიდვის ობიექტით განსაზღვრული ღონისძიებების ორგანიზების კონკრეტული თარიღები განისაზღვრება შემსყიდველის მიერ. ღონისძიებების ორგანიზების მომსახურება უნდა განხორციელდეს დაბა ხულოში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
6.3 მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის **მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.**

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
7.2 ანგარიშწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო დოკუმენტი.
7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადახდო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია.
8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;
8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
8.3.1 მიიღოს მიწოდებული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1 გაუწიოს შემსყიდველს ტექნიკური პირობები დანართი #1-ით და ფასების ცხრილი დანართ #2-ით გათვალისწინებული მომსახურება.
8.4.2 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი“ ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა პირობებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პარობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი

ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულებაში პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02% პროცენტის ოდენობით;
10.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 0.1% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტისშემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%–ის ოდენობით;

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) მხარეთა შეთანხმება;
ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული
ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს
2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16 სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი“

ხულოს მუნიციპალიტეტი
მის.: დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ.N1
ს/კ 248 056 311;
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. №GE24NB0330100200165022
ბ/კ: TRESGE22

ხულოს მუნიციპალიტეტის მერი
ვახტანგ ბერიძე

khulo municipality
Digitally signed by khulo municipality
Date: 2020.02.24 15:26:22 +04'00'

(ხელმოწერა)

,,მიმწოდებელი“

შპს ,,ედემი პალასი“
მის: ხულოს რაიონი, ს. შურმული, მე-4 ქ,N21
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
ს.კ. 448052883
ბ/კ BAGAGE22
ანგ. NGE36BG0000000044984300

შპს ,,ედემი პალასი“-ს დირექტორი
ზურაბ აბულაძე

(ხელმოწერა)

დანართი N1

ტექნიკური დავალება **“ა”**

სტუდენტებთან შეხვედრის ღონისძიების ორგანიზების მომსახურების ტექნიკური დავალება

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	სტუდენტებზე საჩუქრად გადასაცემი- წიგნი შორენა ხუხუას - ,,შემოვალ ეტლით''	ცალი	50
2	სტუდენტებზე საჩუქრად გადასაცემი მეხსიერების ბარათი არანაკლებ 8 ,,გიგაბაიტი'' ტევადობის მქონე მეხსიერებით	ცალი	5
3	ღონისძიების მონაწილე სტუმრებისათვის ალაფურშეტის ტიპის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა (50 სტუმისთვის) ფურშეტის ადგილი შემსიყიდველთან შეთანხმებით	კაცი	50
3.1	ხაჭაპური (არანაკლებ 500 გრ)	ცალი	25
3.2	პური (ნაწილი ქარხნული ნაწილი შოთის) (არანაკლებ 500 გრამიანი)	ცალი	20
	ძეხვი	კგ	5
3.3	ხორცის ბლინი (50 გრამიანი)	ცალი	100
3.4	ყველი (იმერული)	კგ	10
3.5	პიცა (არანაკლებ 500 გრამიანი)	ჟარუნა	15
3.6	ლიმონათი -ორი სახეობის (2 ლიტრიანი შეფუთვით)	ცალი	18
3.7	მინერალური წყალი (1.5 ლიტრიანი შეფუთვით)	ცალი	15
3.8	ხილის ასორტი (ვაშლი, მანდარინი ყურძენი)	კგ	20
3.9	ორცხობილა შოკოლადით (არანაკლებ 500 გრამიანი შეფუთვით)	ცალი	20
3.1	ერთჯერადი თეფში, ჭიქა, ჩანგალი, კოვზი	ცალი	100
3.11	ყავა	ფინჯანი	60
3.12	ჩაი	ფინჯანი	60
3.13	ღვინო ქარხნული (ნაწილი თეთრი ნაწილი წითელი)	ლიტრი	10
3.15	სალფეთქი შეკვრით	შეფუთვა	10

ტექნიკური დავალება "ბ"

დედისა და ქალთა დღესადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების ტექნიკური დავალება

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	გვირგვინი ან ყვავილების კალათა სპეციალური სადგამით	ცალი	2
2	ვარდი (თითო ცალი შეფუთვით)	ცალი	250
3	მრავალშვილიან დედებზე სიმბოლურ საჩუქრად გადასაცემი სახილე-ვაზა- დამზადებული ფაიფურისგან, არანაკლებ 30x35 სმ. ზომის. (ფერი და დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით) საჩუქარი უნდა შეიფუთოს ცალკ-ცალკე სპეციალური სასაჩუქრე მუყაოს ან პოლიეთილენის ფერადი მასალით	ცალი	50
4	ნაბეჭდი აფიშა ზომები 97x57 სმ (ორი დღით ადრე შემსყიდველთან შეთანხმებით შერჩეულ ადგილზე გამოფენა (დამზადებული მაღალი ხარისხის ტენტის ნაჭერზე)	ცალი	1
5	დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონებისათვის საჩუქრად გადასაცემი ზარდახშა - დამზადებული ხის მასალისაგან ან/და მეტალისაგან; ზომა -16x10x6 სმ. (ფერი და დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)ზარდახშა უნდა შეუფუთოს ცალკ-ცალკე, სპეციალური სასაჩუქრე მუყაოს ან პოლიეთილენის ფერადი მასალით	ცალი	95

შპს „ედემი პალასი"-ს დირექტორი ზურაბ აბულაძე

დანართი N2

ცხრილი N1

სტუდენტებთან შეხვედრის ღონისძიების ორგანიზების მომსახურების ფასების ცხრილი

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	სტუდენტებზე საჩუქრად გადასაცემი წიგნი	ცალი	50	17.7	885.00
2	სტუდენტებზე საჩუქრად გადასაცემი მეხსიერების ბარათი	ცალი	5	23.6	118.00
3	ღონისძიების მონაწილე სტუმრებისათვის ალაფურშეტის ტიპის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა (50 სტუმისთვის) ფურშეტის ადგილი შემსიყიდველთან შეთანხმებით	კაცი	50	18.88	944.00
	ჯამი				**1947.00**

ცხრილი N2

დედისა და ქალთა დღესადმი მიძღვნილი ღონისძიების ფასების ცხრილი

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	გვირგვინი ან ყვავილების კალათა სპეციალური სადგამით	ცალი	2	82.6	165.2
2	ვარდი	ცალი	250	2.78	696.20
3	მრავალშვილიან დედებზე სიმბოლურ საჩუქრად გადასაცემი სახილე-ვაზა	ცალი	50	35.4	1770
4	ნაბეჭდი აფიშა	ცალი	1	23.6	23.6
5	დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონებისათვის საჩუქრად გადასაცემი ზარდახშა	ცალი	95	17.7	1681.5
	ჯამი				**4336.5**
	სულ ჯამი (ცხრილი N1+ცხრილიN2)				**6283.50**

შპს „ედემი პალასი“-ს დირექტორი **ზურაბ აბულაძე**